

ნოვანი

ქრონიკული
ბიბლიოთეკა

აპრილი 1936 წ. № 8
ფანი 50 კაპ.



ჩიუღი ქალის სტანდარტი

ახალ გერმანიაში იდეალურ ქალიშვილსუნდა ჯონდეს შემდეგი დადებითი თვისებები: განიერი თეძოები, დიდი და მრგვალი თეხები, ენერგიული ხელები, თმები კოჭერ ბაჭდე. (გერმანულ გაზ. „არბაიტსმანიდან“).

მარნახეფარი სიგანის აქვს თეძო და გავ: წვივ-ბარძაყებზე ბანჯგვლის „ტევერთა“ „ნალოჯ“ კვავ

ერთ ახალშენად ღირს იმისი „ნაზი“ ტალია, გარდა „გოლოვანი“ - დ. შუსტერს აღეაღია.



ბი მსოფლიო ჩემს წინ, გაშლილი,
როგორც ვეება ფერადი ხალი,
ჩიენში— ცხოვრება გარდევით შლილი,
სხვაგან მას სულს ხდის სიკვდილის
ბრწყალი.

აბისინიას ზშავს იტალია
მანრობელ გაზით, მდოგვით, იბრტით:
„რომ შიგიძობოდა, იმ ინგლისის ჯაირს
სულყველას შენზე ამოვიყრიდით!“
უბღვირს ფაშიზმი ამ სულს ქედმაღლად,
დასკუპებოლი ჰაერობლანზე.

და საქვეყნოდ კი... თითქოს მტრედია:
ხორბლის მარცვლივით ჰყრის სიტყვას
ბანზე...

ჰყრის კიდევ ფართე პროკლამაციებს:
რად დავტირითო საზე მკენსარი?
ნეგუსების და რასების ხელით
განთავისუფლებთ მონებს, ეს არი!..“

კარგი თქმა არის, თქვენ ნუ მომიკვდეთ,
კარგს რამეებს სწერს ეს ბოდალიო:
თუ შენ მგელს ქვევით კრავი წყალს
გიმღვრევის,

იქ სუფთა წყალი ვით გსურს დალო?
თუმცა წყლის თქმაზე ეს... მონაკონ და
აქ სსოვნა სსოვნას ბიბიგვით მოყვა:
ჭურჭლის შენებას რაღა აზრი აქვს,
თუ რომ წყალს მუდამ მოიტანს კოკა?!

ან და ეს კოკა, „ოკა“, „მოკოკა“...
ხომ არ არიან იაპონელი?

მათ აღმოსავლეთს თუ მზე ანათებს,
რისთვის ჰგონიათ ჩვენსაში ბნელი?

გრძელი კი არის იქ ეს საზღვარი,
მაგრამ ბოსტანიც ჩვენი დილია,
ამ საზღვრის აშლა და შიგ შემოჭრა,
რა თქმა უნდა, რომ დინგზე ჰკილია!..

დინგიც საკმაოდ დიდი აქვთ ლორებს
და უსუფთაოც საშინლად თანა,
ასე რომ ლობის შინჯვით თუ ჩინჩხვით
ზოგჯერ შიგნითაც შემოატანა...

მხოლოდ მელორეს მებოსტნე უნდა
ბრმად ეგულვოდეს, რომ მოალოროს,
რომ მოაძივოს ბოსტანში ლორი,
გაძვრეს და ლობიც გამოასწოროს...

ერთხელ შემოიკვს, ვთქვით, დინგი,
ორხელ, მესამე - მეოთხედ და კვლავაც, მგონი,
მაგრამ ეს გასტანს მხოლოდ იმ რომდღე
სანამ მელორეს სწყალობენ დრონი!..

დრო კი მდინარიბს ისე, ვით წყალი,
და აქაც სსოვნად წყალის თქმას მოყვა:
ჭურჭლის შენებას რაღა აზრი აქვს,
თუ კი წყალს მუდამ მოიტანს კოკა?!

არც დასავლეთში ხელს გვიწყობს ეს
დრო, ავილოთ თუნდაც ფაშიზმი—ჰერი,
მისთვის ამ ქვეყნად, როგორც თქვენც
უწყით, არც ლობე სუფევს, აღარც მესერი!..

ჩველა ზღუდეზე მიდის, ვით ვაცი,
ავაზაკური საქმის ჩამდენი,
მას არც რეინი ეწყალზლოდება,
არც ესარება: სარო, ფლანდენი!..

აქაც წყალის თქმა მე გულს მიწყალებს
და მოგონებაც სსოვნას მოყვება:
ჭურჭლის შენებას რაღა აზრი აქვს,
თუ წყალი მუდამ ზბიდს კოკებმა?!

ან ეს კოკები თუ გამიბრავლდა,
შეა რა მიღვია? მდოგვი? იბრიტი?
მი რომ მკითხვოდენ, ერთ მშვენიერ დღეს
ყველას ჯავრს ერთად ამოვიყრიდი!..

თორემ ისინი არც მარჯხს აღიკეთენ,
არც შიგ დამოულ მასით დაიწმინდება,
რადგან თქმულია: „კოკაში რაც სდვას,
მისგან სულ იგივე წარმოსდინდება!..“

სანამ წითელი ის ნიათაბარი,
ძალას რომ იკრებს ვარდობის თვეში,
არ მილოგწ-მოლოგწს იმ კოკებს ერთად,
მძლიდ მოვარდნილი, ვითარცა თქეში!

ან რას ყოყმანობს ეს ერთა ლიგა,
თუა შეჭურჭლე ზავის და შევების,
რად უნდა სწიროს უქმობა მსხვრებლად
კოკების ამდენ თავის აშვების?!

შ ა ს რ ა კ ა რ ბ ე დ ი

ნახ. გ. ისაევის



გ. ისაევი

— გაიბადე და მონყიდე პალტო, სეზონი მაინც გასულია.
შოშ. მიძველმანე:— გავიხდი თუ ორმოც მანეთს მომცემ.
— რა თავს იგდებ ორმოცი მანეთი პატრონიანადაც არ ღირს, შენპალტოში თხოულობ?

ოღისიშე



იაპონელ მილიტარისტების „მერანი“

სინგაპურში გერმანელმა ფაშისტმა ტერისტებმა სცემეს ამერიკის მეტალურგიულ კამპანიის დირექტორს და მის მეუღლეს რადგან უკანასკნელმა არ მოიწონა გერმანელ ფაშისტების მიერ ლოკარნას შეთანხმების დარღვევა

ფაშისტები
ქალებს
დიდი პატივს სცემენ
კაცის
თანასწორად
მუშტს ხახეში სცემენ.

ლეიპციგის ახლოს ალღუმის დროს რეისერის ჯარისკაცმა, რომელიც ანტიფაშისტური განწყობილების იყო, უიჯრად გაიცინა. ხილისუფლებმა ჯარისკაცი სულით ავადმყოფად სცნო და სტერლიზაცია უყო.

ასეთია იქაური
აღათი და წესი,
ჯარისკაცო შხამს გაძღვევენ
მიიღე და შესვი,—
მაგრამ შენ თუ გაიციენ
დაისაფო უნდა,—
მთავრობა გცნობს ავადმყოფად
და სიცილის ქურდალ...

ვაშინგტონში ოოდის ამბით დასაფლავეს ძაღლი, რომელიც საერთაშორისო ომის დროს ამერიკის პირველ დივიზის ახლდა საფრანგეთში.

ვინ იცის რამდენს უნატრია
ზედი იმ ძაღლის,
ოღონდ იმ ძაღლად გადაიქცეს,
ქედსაც კი დახრის.

ძაღლურად ცხოვრობს არა ძაღლი
არამედ სხვები,—
(მიტომ მივმართე იმ ქვეყნისკენ
ჩემი ოსრები).

ო ინ ბ ა ზ ი

ო რ ი ფ ო ს ტ ა ლ ი ო ნ ი

ლონდონის წმ. პავლეს ტაძრის წინმძღუდარმა გადსწყვიტა ყოველდღიურდ ილოცოს ჰიტლერის დღეგრძელობისათვის. დიქტატორი მან უკვე შესაფეო სიაში შეიტანა.

პავლეს ტაძარში
ხუცესი ბეტრე
ენას აგრძელებს
ნახევარ მეტრზე

და ვინც მშვიდობას
დღეს მახვილს უღერს—
„მრავალ-უამიერს“
უგალობს უმღერს.

ასახსნელია
ქცევა ანგვარი:
დიქტატორისგან
მოდის ქანქარი.

გელუზა

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. გამარჯობა-გავიშარჯოს შემდეგ მუსაიფი გააბეს.

— ძნელი გახდა მუშაობა, რალაც თრი-სამი კვირით რომ დაავიანო წერილებისა და ჟურნალ-გაზეთების დარიგება, ატყდება აურზაური, ტელეფონების რეკა, მიმოწერა და ათასი დავი-დარაბა. ჩვენ ერთი თვის დაგვიანებას გვი-საყვედურებენ. ეგრობაში კი თურმე,—და მან გაზეთი გადაშალა,—თურმე აი ნახე როგორ მუშაობენ ჩვენი კოლეგები!—და წაიკითხა გაზეთში:

„იმპერიალისტური ომის დროს 1916 წელს ინგლისელმა ტომას ხარისამ დასავლეთის ფრონტიდან წერილი გაუშვა ვენა ცოლს, რომელმაც წერილი მიიღო 1936 წელს ე.ი. 20 წლის დაგვიანებით“.

— ჰმ!—გაეღიმა მეორე ფოსტალზონს.—ეს რაა! მე უკეთეს წაუკითხავ,—და მეგობარს ჟურნალიდან წაუკითხა:

ქ. ნარვიდან (საბჭოთა კავშირია) 5 მაისს 1893 წ. ჩიკაგოში გააგზავნეს წერილი, რომელიც უკანვე დაბრუნდა 29 ნოემბერს 1935 წ. რადგან ვერ ენახათ აღრესატი. ამგვარად წერილია იმოგზაუ-ურა 43 წელიწადი.“

—ვა! ეს მართლა ზორბა რამ ყოფილა!— გაუკვირდა პირველს და მეგობარს შეკითხა

— შენ ის მითხარი: ეს ამბავი ცუდათ ახასიათებს იქაურ ფოსტას, თუ კარვად?

—მე მეგონია კარვად.

—რატომ გგონია?

—იმიტომ, რომ წერილი არ დაიკარგა. პირველ შემთხვევაში 20 წლის შემდეგ მაინც მიუკრანეს. მეორე შემთხვევაში 43 წლის შემდეგ წერილი უკანვე დაუბრუნეს გამგზავნილს. შესაძლებელია გამგზავნი უკვე იმ ქვეყნად იყვეს, მაგრამ 43 წლის განმავლობაში წერილი ალბათ ამ ქვეყნიდან საიქიოს მიადწევს.

—მართალი ხარ შენ,— დეთანხმა მეგობარი მეგობარს.— ასეთ შემთხვევაში ჩვენ გადავყრიდით წერილებს.

—ეჰ!—ამოიოხრა მეორემ.—ღმერთი ოაი-ცივის მათ ოჯახს.

—ვის?

— აი მათ, ჩვენ კოლეგების.

—რატომ?

—იმიტომ, რომ მათ გადააქარბეს ჩვენ რეკორდს წერილების დაგვიანებაში!—და მე გობრები დალონდენ.

ქმრა



ტრესტში გვყავდა ჩვენ პარტიზად
 ამხანაგი ანთიმოზი,—
 პარტაქტივიში მასთან იყვნენ
 ლეო, სინო, თათეოზი....
 ანთიმოზ ცდას არ აკლებდა
 ყოფილიყო ფზიზლათ ტრესტში.
 პარტაქტივის კრებებს ხშირად
 მოიწვევდა,—ათჯერ დღეში.
 აქტიურად რომ ის ეცნოთ
 ის იწვევდა მიტომ კრებას

თუმცა საქმე ცუდად ქონდა,
 პოყვებოდა თავის ქებას
 —ამხანაგო ანთიმოზ, ვთხოვთ,
 ერთხელ ჩემიც მოისმინო
 ვადრა სიჩყვა იმას პროფურის
 ხელმძღვანელმა ჩვენმა სინომ.
 აიტყვი თუმც ბეგრს ლაპარაკობ
 საქმეში ხარ პასიური
 გაროვივა გაქვს, გოტყვი მართალს,
 სად?—გაემარტავ: მიგდე ყური—

—რას აწობ?! მე მტერი ვარ
 პასიურზე თვით ხარ მტერი
 პარტკომზე შენს საკითხს დაქვე
 ენახოთ კრება თუ რას გეტყვის
 ანთიმოზის მსგავს „აქტიურს“
 აქტიურად მიეცხოთ უნდა
 და კრებამაც ის სთქვა, რომ მას...
 აუკიდეს ნაბად გულდა.
 ქიშვარდი

ტფილისის გამფვანებისათვის



ახ. დაუშვილის

აუცილებელი საშუალება მცენარეების ხულოგნებისაგან დასაცავად.



პროკურორმა საბოლოო სიტყვა ასე დამთავრა:

— რესპუბლიკისა და მისი მოქალაქეთა ინტერესები მოითხოვენ, რათა ბრალდებული დაისაჯოს სიკვდილით აფეთქების საშუალებით. მხოლოდ ასეთი ღონისძიებით მოვსპობთ ქურდობას.

— რას სთხოვთ სასამართლოს? — მიმართა ბრალდებულს უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარემ, როცა პროკესი დასრულდა და სასამართლოს განაჩენის გამოსატანად უნდა გასულიყო სათათბირო დარბაზში.

ბრალდებულმა ჩვეულებისამებრ გადაისვა ხელი ულვაშებზე და დაიწყო:

დიახ, ესეც ქურდობაა, ქურდობის ერთი სახეა, რომელიც ნამდვილ ქურდობაზე უსაძაგლესია.

რა მიუსაჯა სასამართლომ ქურდ ხუცესს? სამი წლის ციხე და 12 დარტყმა. აი, რა ღმობიერება გამოიჩინა სასამართლომ მის მიმართ, სასჯელის მოხდის შემდეგ მას კიდევ შეიძლება განაგრძნოს თავის საქმე და ხელობა. მეორე ბოროტმოქმედს ღირსება ახიანს ესეც ღმობიერებაა. დიახ, თქვენ უნდა გამოიჩინოთ ჩემს მიმართ ასეთი კაცთმოყვარეობა და ჰუმანიურობა. ამიტომ მე ვთხოვთ, უარყოთ პროკურორის მოთხოვნილება სიკვდილით ჩემი დასჯა აფეთქებების

ამით ხახამზრალი დატოვა მომჩივნის მიესაჯოს, როგორც შთამომავლობით მხეცა, რომლის, ე.ი. ბრალდებულის, ანუ კატის ჯიშის პირდაპირი შთამომავალი, როგორც არის ლომი, დღესაც კი კუჭურის აყვავების ასეთ ხანაში, ითვლება ნადირთა მეფედ... აგრეთვე მიიღო რა სასამართლომ მხედველობაში, რომ ბრალდებული, ე.ი. კატა მოშინაურების შემდეგაც კი ნადირობას ეწევა სხვა ცხოველებზე, როგორც არიან ვირთხები და თავგები, რომლებსაც ეშინიათ კატებისა და ამისგამო სოროებში ცხოვრობენ და იმალებიან, — მიესაჯოს ბრალდებულს სასჯელის უმაღლესი ზომა: სიკვდილი აფეთქების საშუალებით.

მთლილი ქალაქი აცილებდა ბრალდებულს. იგი ბორკილებში მიყვდათ პოლიციელთა გაძლიერებულ და შეიარაღებულ რაზმს.

წინ ჯალათი მიუძღოდა. სასჯელის აღაგას ბრალდებულს ახსნეს ბორკილები. პოლიციელთა რაზმი ოთხმაგ რკალად შემოგრტყა მას. ჯალათი შეუდგა აირების გახსნას.

— ერთი! — გაისმა სასიკვდილო ნიშანი. ხალხი აღიღდა. ბავშვებმა, რომლებსაც დიდად უყვართ კატა, ტირილი მორთეს:

- ნუ კლავთ ფისოს!
- მიაუ... მიაუ! — ტიროდა მსხვრეული და ცრემლიანი თვალებით ხალხს უკვირდა.
- ორი! — მოახლოვდა სიკვდილი.
- სამი...! — და ჯალათს ათარ დასცა: დამთავრება: აირი აფეთქდა.

მეორე ოთხი გაზეთებში ასეთი სენსაციური ცნობა იყო:



— დიახ თავს დამნაშავედ გცნობ. მაგრამ ნუ თუ ჩემს მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება ეგზომ მძიმეა, რომ მე აუცილებლად უნდა დავისაჯო სიკვდილით, და ისიც აფეთქების საშუალებით?

ბატონებო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ საღეთო წიგნების მოძღვრება ქურდობის წინააღმდეგ.

— „არა იპარო!“ — გეასწავლის ჩვენ სახარება მაგრამ თვით სარწმუნოების წარმომადგენელი, მოძღვარი, ქურდობს! — და აქ ბრალობულმა გადააშალა გაზეთი და წაიკითხა:

„ქურდ ხუცეს მაკ-კარტის ბელფასის (ირლანდია) სასამართლომ მიუსაჯა სამი წლით ციხე და 12 დარტყმა.“

აი ხედავთ, პატივცემულო მოსამართლენო, ქურდობას ჩადიან სარწმუნოების წარმომადგენლებიც კი. და განა მართო ისინი? სახელმწიფოს უმაღლესი მოხელეებიც კი არ თავიკობდნენ ამ საქმეს! — და აქ ბრალდებულმა მეორე გაზეთი გადააშალა:

„ვაშინგტონში თანამდებობიდან გადაყენეს სამხედრო სამინისტროს მრჩეველი პოლკოვნიკი მაკ-კალენი, რომელიც ქრთამებს იღებდა მოიჯარადრეე ბისგან“.

საშუალებით. თუ მაინც (კრამაინც, სიკვდილის განაჩენს გამოიტანთ, მომისაჯეთ სიკვდილით დასჯა ელექტრონის სკამზე. ეს სახელმწიფოსათვისაც ხელსაყრელია, რადგან ამ საშუალებით ჩემი დასჯა იაფი დაჯიება დასამტკიცებლად შემძლია მოვიყვანო აი ამ გაზეთიდან შემდეგი ცნობა:

ნიუ-იორკელმა მაკ-კოლენმა ხელის ოობას განცხადებით მიმართა, რომ იგი სასიკვდილო განაჩენს ელექტრონის სკამზე სისრულეში მოიყვანს 5 დოლარად ნაცვლად დაწესებული 150 დოლარისა.“

— დიახ, ხუთი დოლარი, მეტი არა. მე მგონია ეს ჩვენი რესპუბლიკისათვის უფრო ხელსაყრელია, მის ბიუჯეტს უფრო შეამსუბუქებს და წლიური ბალნსი არ დაიტვირთება გაუთვალისწინებელი ხარჯებით. სხვა არაფერი მაქვს სათხოვარი! — დაამთავრა სიტყვა ბრალდებულმა.

სასამართლომ 12 საათის თათბირის შემდეგ გამოიტანა განაჩენი:

ბრალდებულ კატას, რომელმაც ქურდულად შექამა ბატონ ფაშვინსტინის კერძი და



ქ. ლოშინში (კანადა) ქუროზბისათვის კატას მიუსაჯეს სი... იოი. აირი, რომელითაც იგი უნდა მოიოლათ, აფეთქდა, ჯალათი და რამდენიმე პოლიციელი მძიმედ დაშავდნენ, კატა კი უვნებლად გადარჩა და გაიქცა.“

ზინზარაი

შეუგნებელი გლეხები, რომლებიც წინათ კოლექტივის წინააღმდეგი იყვნენ, ახლა მასში შესვლას ცდილობენ, მაგრამ ზოგი ნაკლებ შეგნებულ კოლექტივის წევრები ამის წინააღმდეგი არიან. (გლეხკორის წერილიდან).

კოლექტივში შესვლას მაქრო გაურბოდა პირველ ხანად ჩაწერას, რომ უხსენებდნენ უტყუებოდა თავის ფხანს მაგრამ დაფიქრდა შემდეგში, თვის ქცევა ასწონ-დასწონა, მალე ქაჯაში დაუჯდა კოლექტიური მას შრომა დღეს კოლექტივის მინდორში ტრაქტორის ხმა რომ გუგუუნებს

წინანდებურად მაქროს ეს გულს დარდით აღარ ულონებს! წინად ის კოლექტივისთვის ცდილობდა ხელის შეშლას, ეხლა სიზმარშიც მიიღტვის ფიქრით შიგ წევრად შესვლას! მაგრამ ლეხენია სურვილის მეზობლებისთვის გამხელა, თუმცა გადასწყვიტა გადაჭრით ერთხელ, ორხელ და სამხელა! —მაქროვ ხმას გაძღვე ხალისით, რომ გეხილება თვალია, ვინც ხელს არ გამოვიწოდებს, ბრძივი და შესაბრალოა.

ბ. თ—ია

ნ უ ბ ე უ ი ს ც ე მ ა

ცოლი მოწყენილი დაუხვდა თეოფილეს. —რო ნაძალადეობა ემჩნეოდა მის მოწყენას.

—იცი თეოფილე რა მოგვსვლია? —რა!—წამოვარდა თეოფილე. —რას იზამ კაცი, ყველაფერს უნდა შეუჩიოდდე, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ! —რა ამბავია, ქალო? მითხარი ვინ მოკვდა..

—ბნელია, მაგრამ რას იზამ. მამები ყოველთვის შვილებზე ადრე კვდებიან. თეოფილემ არ დააცალა სიტყვის დამთავრება.

—მამავ!—იყვირა და წამოვარდა. —თეოფილე, შემოგვიღო. რა უყოთ მერმე! ამშვიდებდა ცოლი ქმარს, რომელიც გულამოსკენილი ტიროდა.

—გეყოფა, გეყოფა, შემოგვიღე... აი ხომ ხედავ. ახალგაზრდები ვართ. ჩვენი ცხოვრება წინაა... სისულელეა გადავყვეთ მშობლებს... დამშვიდდი... მეც მიყვარს მამა, მაგრამ შენსავით როგორ მოვიქცევი... აი ასე გენაცვალე... ვინ ვაიგონა ამდენი ტირილი?

—უკვე მზად მაქვს ყველაფერი. გვირგვინი ვაიკეთებინე. გაზეთში განცხადება მივეცი. ახალა არშიაზე ვაწერინებ.

ქმარს ესამოგნა ცოლის უნარიანობა. საღამოს ყველაფერი მზად იყო. ბილეთი ნაყიდი, საგზალი მომარაგებული და გვირგვინი დამშვენებული აბრეშუმის არშიით, რომელზედაც ოქროს წარწერები იყო ლამაზაო ამოყვანილი.

ქეთო, მართალია ქირსიუფლის პოზაში იჭირდა თავს მაგრამ არც ფრჩხილების დაწითლება დაფიქრებია და არც ტუჩების შეღებვა.

—აბა წაიღეთ.— და თეოფილემ დაიხარა, მაგიდაზე წონები მიალაგა-მოლაგა და ის დეპეშაც ნახა რომლითაც მამის სიკვდილს ატყობინებდნენ.

—კი, მაგრამ ეს სიკვდილი ვინაა? გაიფიქრა, რაღაც დეპეშის გამოგზავნის სახელი წაიღებოდა.

დააკვირდა. ხათომი-ქუთაისიდან თეოფილემ კაკლამეს მამა გარდაიცვალა ვასაფლავებთ სამში-სევასტი.

ოზურგეთში მამა მოკვდა. ქუთაისიდან დეპეშას როგორ მიგზავნიან!—გაიფიქრა და დაიქვდა.

— წამოდი ჩქარა დაგვიანდებით!—მიძახა გარედან ქეთომ მაგიდასთან გაჩერებულ ქმარს.

—კი, მარა... —რა კი მარა? —სევასტი ვის ქვია შენს ნათესავებში?— შეგკითხა მოულოდნელად ცოლს. —ჩემს ბიძაშვილს!—უბასუხა ცოლმა. რატომ იკითხე? —ისე ტყვილა... არიქა დაუძახე. ამოიტანოს გვირგვინი...

—რა იყო აღამიანო. დავგვიანდებით! —შეცდომაა წარწერაში. ამოიტანოს და გადასწორებ.

ქეთომ თვითონ მოიტანა გვირგვინის არშია. უკვირდა რა შეცდომა ნახა თეოფილემ.

—მეორე მატარებლით უნდა წავიდეთ ჩემო კარგო, მანამდე ამ შეცდომას გამოვასწორებ. ანდრო, უთხრა მეზობლის ვაჟს! შენ სადღურზე გაიქეცი თუ ძმა ხარ და ქუთაისის ბილეთი აიღე!

—ქუთაისის რათა?—იყვირა ქეთომ. —მიტომ, რომ... აი ბეგალითად, ჩემო ქეთო, ჩვენო კარგო, რა ვუყოთ მერმე, შვალეები რჩებიან, მშობლები იხოვებიან!— ამ ლარაკში თეოფილემ არშიაზე თავის მამის სახელი წაშალა დაქეთოს მამის სახელი ამოავიწოტა.

—თეოფილე რას ამბობ?—შეკვილა ქეთო.

—არაფერს, ჩემო კარგო... შეგვსლია. არ დაეკვირვებულვართ დეპეშას. ქუთაისიდან შენი ბიძაშვილი აგზავნის. მამაშენი იგივე ჩემი მამაა, რა უშავს...

მაგრამ ქეთომ ისეთი კვილი მორთო, რომ მთლიან ქალაქს გადასწვდა.

ქეთო, დამშვიდდი, საყვარელო ქეთო, ჩვენს თაობას ტირილი არ შეშვენის, ბედნიერი თაობა ვართ!—ეუბნებოდა თეოფილე, მაგრამ მისი ნუგეში ცოლს არ ესმოდა.

ორი კაცი მიყვებოდა ქეთოს, რომლებსაც მარად დაეკავებოდათ მისი ხილები, ქეთოს რამოდენიმე სოვილას დაეკაწრა.

თეოფილე მისივე გვირგვინით ხელში და ხშირად ჩაძახებდა:

—ქეთო ჩვენს თაობას ტირილი არ შეშვენის!

მაგრამ ქეთო თმას იწიწდა.

—რაა, ჩემი მამა თუ არაფერი იყო, მაგ! მამა რა იიდი ვინმია!— ფიქრობდა თეოფილე და სიამარის სატირლად მიემგზავრებოდა.

ვ. ი. ბ. ო. ლ. ი.

გერმანელი ფაშისტები გეტამაგებენ ბული არიან ზოგიერთ ინგლისელ სახელმწიფო მოღვაწეთა თანაგრძნობით და აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებენ მეზობელ სახელმწიფოების მიმართ, რომლებსაც გერმანიის არავითარი მტრობა არა აქვთ.

ცხვრების ფარების მახლობლად მგელს ჰქონდა სორო-ბუნაგი. ყველამ ვიცით, რომ მგელია მტაცებელი და მსუნაგი.

გაკადნიერდა, დაიწყო ნადირობა და თარეში; შიში არ ჰქონდა არავის, მწყემსებს მიუხედავად ფარებს შიგნით.

ჯერ ბატკნებიდან დაიწყო, მით ჩაისველა ყელია. ბატკნებს რომ მუსრი გაავლო, შემდეგ ცხვრებს მიჰყო ხელია.

აღვნიც ცხვრები და ბატკნები, წავიდნენ საჩივლედა. ნადირობა მეფეს მიმართეს, აგი მიაჩნდათ მხსნელად.

მას მოახსენეს: გვიშველე, კავანადღურა მგელმაო. აღარ დავეინდო არავინ ამ წუწქმა, უღმობელმაო.

ლომმა მოიხმო მგელი და გააცნო საჩივარია: ცხვრები და მათი ბატკნები შენზე გამწყრალნი არიან.

თურმე მათ მუსრი გაავლე, აღარ დაინდე არავინ, გააპარტახე მრავალი ფარეხები და კარავი.

ეს გაიკვირვა მსუნაგმა: მეფე, რას ბრძანებ ამბაო! როდის იყო, რომ მივსდევდი მე ცხვრებ-ბატკნების ქაპასო?

მე ჩემთვის ვცხოვრობ, ჩემთვის ვარ,—

მაგრამ მესხმინა ოითონა. ნეტავი გამავგინა ეს ჭორი ვინ მოიგონა?

მათ ჩემი შექმა სწადიათ, ხორცი აქვს მიტად ტუბილიო. თავდაცვის მიზნით, რა შექმა, მეც ქე გავკარი კბილიო.

არა მაქვს, მეფე, იმათი არც მტრობა, არცა შურიო. მე დამიჯერე, უფალო, მათ არ ათხოვო ყურიო.


ლომი ერწმუნა მსუნაგს და მცირედაც აღარ დასაჯა. პირიქით, მისი გაყვლინით საქმენი ასე გასაჯა:

თქვიანო.—უთხრა მომჩივანთ,— თურმე მგლის შიქმა გწადიათ. რაკი ეს იცის მან კარგად, იგიც არ გინდობათ, ცხადია.

მგელი კი ფიქრობს: გავაძრობ ჯერ ცხვრებს და ბატკნებს ტყავსაო

და მერე ბებერ ლომსაც კი დღეს დავაყენებ შავსაო

ისელი



დასაყვანი საქართველოში, კოლხიდის ცხრათვალა მზის სხივების გავლენით 1936 გაზაფხული ნაადრევად დაიწყო. ბუნების გაღვიძებამ „სხვაგვარ“ გუნებაზე დააყენა სუფსის ტუნგოს მეტურნეობის ბრიგადელი არისტრახ სარჯველაძე.

სარჯველაძემ მარტის ხედივით ჩაუარა სუფსის მედუნეტის შენობას. გადახედა სამკურნალოდ მოსულ და პუნქტის თანამშრომელ ქალებს. პირი ნერწყვით დაღვსო და არხეინად ჩაილიღინა:

„გაზაფხულისა პირზედა
შაშვმა დაიწყო ვალობა,
რა ქალმაც არ შემებრაღოს
დაიწვა მისი ქალობა.“

—შემებრაღებს, ვინ იქნება ისეთი რომ არ შემებრაღოს?! ბრეგადელი ვარ. ყველა ქალი ინატრებს ჩემს „შებრაღებას“,—გაიფიქრა არისტრახმა სიმღერის დამთავრების შემდეგ.

—ექიმი და ექიმსავით ჩემს გამიჯნურებულ გულს ვინ უმკურნალებს? საჩემოა;

გადაეთლი კაცი: ჩემი გულის სამკურნალოდ მაგის შაგი თვლების უკეთეს წამალს ვერსად ვიშოვი.— გაიფიქრა სარჯველაძემ.

ქალმა ყურადღება არ მიაქცია. არისტრახს „გული დაეჩაგრა“ მიჯნურის ასეთი „თავხედობით“ და სიმღერა გააგრძელა:

ახმე დილიღმე, დილიღმე
დამტოვე დახედილი მე
თავქოჩორ ვადახატული,
ჯანა აღვისა ჭირიმე.

დაგრძელა სიმღერა ნაგრამ მალე დარწმუნდა რომ მარტო სამიჯნურო სიმღერები მის გულს ვერ კურნავდა. ახლა ახლა „სორჯის“ სიმღერა მოაჯონ და ჩაილიღინა:

ორშაბათ დილა გათენდა.
რა აკი დარი ღვებოა,
ქ ჩვენი წუწვი მელია
აომრად ემზაღებოა.

—შეურცხვეს კაცობა ვინც მელაზე ნაკლები წუწვობა იცოდეს. მელაზე ნაკლები ვარ? მელა მაჯობებს სიწუწვეში? მელას როგორ დავაჩაგვრიებ თავს... არც ექიმ ქალს დავაჩაგვრიებ!...— თქვა არისტრახმა მანალოვსა და მუშაო და მუქართ პირდაპირ მედუნეტისაკენ გასწი.

მევიდა ექიმ ქალთან და მის მოთხოვნაზე უარის მიღების გამო „მიჯნურს“ ხულიგნური მუქარა დაუწყო.

შეიქნა ყვირილი, აურზაური. ხულიგანი სარჯველაძე მუშებმა ექიმის კაბინეტიდან გაიყვანეს და კულ ამოდუებულ „ტარიელი“ ეზოდან გააცილეს.

ამ ამბის შემდეგ სუთსილი მუშები დამარცხებულ არისტრახის მისამართით ასეთ სიმღერას მღერებენ:

არისტრახო, „სიყვარული“
გაორღბს, როგორც ღვინო,
ერთხელ შეგჩა ხაოიგნო...
კვლავ არ ჩაიღინო.

სიბიტო

ა ლ კ ო გ ო ლ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ

ნაბ. დონი



—მეგობრებო, ამ პატარა სასმისით სხსს...სიფხიზლეს გაუმარჯოს.



საქოების უკანასკნელი ნაშთები თანდათან მიდიან... ქრებიან ახალ ქვეყნისათვის უფრო და უფრო მეტად. ბარგი ხდებიან ეს ბუნებრივია, მაგრამ მე მინდა ამ მიმავალი „საქის“ პორტრეტები სამუშაოთ შეუნახო ჩვენს ჩამომავლობას. ეს არის მოთხრობის მიზანი. დავიწყეთ:

ამ დღეებში სიღნაღს ვიყავ. ბულვარში დაფიქრებული მივდიოდი. არავინ შემიძინებია. უცბათ ვილაც ვაკვირებული ვაღამილდა წინ.

—ვა, ფარსადან შენა ხარ? სკაკიმ სუდომ, სკაკიმ. ვესტომ, ინჩაბარა, ვეღარ მიცანი? საქო ვარ რაღა, რამტოლჯერ ჩაგივდივარ იმ ბემურაზ ნიანგში, აღარ გახსოვდარ?

ვიცანი. საქო იყო, ერთობ გამოცვლილი, შეთხელებული და თანაც წელში მოხრილი. შეგუყვანიდი.—გაგებული მქონდა მოკვდაო. აქ კი უცებ...

—კი, მაგრამ შენ ხომ...


—ჰო, ვიცი, ვიცი—გინდა სთქო თუ მკვდარი ხარო?—ის სულ ჩვენი ქაქტის თინები იყო. მკვდრობა დამაბრალეს და ჩემი კვარტირა თავის ნაცნობებს მისცეს. მემრე დობტურის სპრავკა მიუტანე და დიდის ვაინარობით დავაჯერე რომ ცოცხალი ვარ.

—მერე დაგიჯერეს?—შევეციოთხე ღიმილით.

—ვა, სპრავკა მივიტანე მეთქი.

—მერე?

—მერე, იმ ქაქტის თავმჯდომარე მებნება ოუ—ეს დიდი პრინციპიანნი საკითხია და მარტო ვერ დაგიჯერებ, რომ ცოცხალი



...მკვდრობა დამაბრალეს და ჩემი კვარტირა თავის ნაცნობებს მისცეს.

ლი ხარო—მეთქი, როგორ თუ მარტო, მაშ საზანდრები მოგიყვანო?

—არაო, საერთო კრებამ უნდა ქნას რეშენიაო. გააკეთეს კრება და დიდი აყალ-მაყალის მემრე დაადგინეს, თუ რადგანაც რომ დობტურის სპრავკა მოიტანა, ცოცხლად ჩაითვალოს, მაგრამ როგორც სპეკულიანტს ბინის დაბრუნებაზე უარი ეთქოსო.

იმ ბემურაზმა სილიციამაც ბაშფორთზე ატკაზი დამარტყა,

—თუო ასეთი პადაზრიტელნი ხალხსაო, ქალაქში ვერ ვაცხოვრებთო. არა, შენ მაგათი თაბაუთი ნახე.—ზოლოლოგიესკი პარკში აფრიკანწვი მაიმუნები და ჩერეპახები მოჰყავთ, იმათ თბილისში ცხოვრების ნება უნდა ჰქონდესო, მე კი, ათადან, ბაბადან აქაურ ღრუბანინის მებნებთან, პადაზრიტილნი და ვრედნი ხარ და წადიო.

მივსულვარ მელოციის გლავნი ნაჩალნიკთან და ვებნები მეთქი—თქულა? ვაკონილა?—ნახულა?—ნიუყელი. რომ იმ აფრიკანწვი მიმუნისტოლა უფლება აღარა აღარა მსქეს?

იმან იძახის თუ რა ვინაო?

—მეთქი პრაშენია მაშიტანია. ბაშფორთი მაშეცი მეთქი.

ამსილ-დამხიდა. ქაღალდები გამოსინჯა და სტროგათ მიტხრა:

—შენ აქამდისინ არ გადაუსახლებიხართო? თანაც ჩემს პრაშენიაზე წააწერა: „ნა ბაშფორთ ატკაზაჲ, ჰამაც ვისალტ მამენტალნაო“.

—მერე?—შევეციოთხე მე.

—რაღა მერე? მეორე დღეს, მე და ჩემი ფეფელო ქონიან ნიჩაბზე დავედეს და ტყაბ,—თბილისიდან! მახლახ, ჯიგარი მეწვის რაღა. ბრაზისგნით მთელი ნუტრენოსტი მებრავება, მაგრამ რას ვინამ?

წამოვსულვარ სიღნაღში. ფეფელომ ყაითანის ვრება ისწავლა, მე კი აქეთიქით ბაზრებზე დავდივარ და ასე ვაინარობით ვცხოვრობთ.

ასეა,—ახალ ცხოვრებას თავის კანონი აქვს,—მოკლედ მოუკერი და წასვლა დავაპირე. საქო წინ ვადამელობა.

—პაქალუსტა, ფარსადანჯან ჯერ ნუ წახვალ, ერთი სავეტი მინდა გკითხო.

—რაშია საქმე?

—ერთი მახლო საქმე მომივიდა, ლამის ამ სიბერეში კაცი მოვკლა და ცოდოში ჩევედე. სხვა ვინოდი არ არი მეთქი რაღა, შეიძლება ლევეროვი ვიშოვნო და კაცი მოვკლა.

—თქვი საქოჯან, ვავიგოთ რა—არის?

საქომ ჯერ იყოყმანა, მერე გადაწვირით მომშართა:

—იცე რა გითხრა?—ჰუხურში ჩემი პრიკლუჩენიები ყველაფერი შენ ვავიგია, ესეც იქ იყოს.

—თქვი რაღა,—მოუთხენლობით შეუტყე მე.

—ჰო, პაქალუსტა, რახან გეჩქარება, მოკლეთ გეტყვი:

ამაწ წინათ, წინორიდან მოვდივარ, საცაა უნდა დაღამდეს. მეშინიან, ვაი თუ დამიგვიანდეს და გზაში რამე ნესასტი შამხვდეს: ჩქარა მივდივარ. ერთი ც ვნახოთ, ჩონიანი კაცი დამეწია.

—გამარჯობა,—მებნება.

—მეთქი ვავიმარჯოს, სიღნაღისაკენ მიხვალ?

—ჰო იქ მივდივარო,—ჰამაც ჩქარა გარბის. შევებვეწე, ნელა იარე მეც იქით მოვდივარ და მასლაათით წავიდეთ, მეთქი. დამთანხუდა. მივიდივართ და რამეებზე ვლაპარაკობთ. ბოლოს ვებნები

—ამხანკოჯან, შენი სახელი?

—სულიკო მქვანო.

ვა, ეშშიში ვხდები. სულიკო ხომ ის კაცია, რომელსაც სულ ყველა ეძებს და მღერაინ „სადა ხარ ჩემო სულიკო“?



...ჰამაც ჩქარა გარბის!

მე ვიცანი და ვებნები: რა ხუმარა ვინმე ყოფილხარ? გინდა მამატყუო და გულში გიჯრო მეთქი? სულიკო როგორ გერქმევა? ალბად მახსარათ მაკეთებ მეთქი.

იჩან გაუკვირდა. რატომ არა გჯერა, სულიკო მქვინო.

მართლა მეთქი?

—მართლა ჩემე სიყრმის მშენაო.

—არა ხუმრობ მეთქი?

—არაო,—რას გეკვირს, არ ვავიგონია, სიმღერა, „სადა ხარ ჩემო სულიკო“.

ის რომ თქო მე მამენტალნათ ერთი აზრმა მომივიდა ამ ბებრეც

გოგრაშია გულში ვიძახდი: რაკი ამ სულიკოს ეძებენ, ზნაჩიტ ვი-
ლაცა დიდი რაზბონიკი ვინმეა, ამ სავეცკი ისპალკომში, ზაიავლე-
ნიას შავიტან თუ, ფლანი და ფსტანი სულიკო, რომელსაც რომ
დიდი ზანია ეძებთ, ჩემს ხელშია მეთქი. ეს დავერიას ვამიკეთებს
და შეიძლება ბეზავავთროჩნათ ბაშფოროთიც კი მამცვენ მეთქი.
თან იმის დარდი მაქვს, ეს სულიკო ხელიდან არ წამივიდეს, რო-
გორმე იქნება სახლში შავიტყუო.

ტკბილათ ვებნები:

—სულიკოჯან, სიღნაღში სცხოვროფ?

არაო, ზაქათალიდან მოვდივარ, ეხლა იმიტომ მეჩქარება, ვაი
თუ ბინა ვერ ვიმოვნო.

—ვაჰ, საქმე თავისთავად კეთდება რალა.

—მეთქი ჩემი თავი შენ გენაცვალოს, —ჩემთან წამოდი, ისეთ
ყავთუკის დოშაკზე დაგაწვინო, რომ სულ შივ ჩაიყურყუმალო.
ჰამაც კაი ვახშამი ჩემზე იყოს, მაგისთვის სწუხხარ? ძველი კაცი
ვარ, სტუმარი მიყვარს მეთქი.

— ძალიან მადლობელი ვიქნები და ჰამაც ფული მიირთვიო.
მაშინვე ვიფიქრე, მართლაც იმალება, ფულს იმიტომ მაძ-
ლევს, რომ არ გავთქო მეთქი.

წავიყვანე.



კარგი ვახშამი ვჭამეთ, დავათრეთ, ვამასლაათეთ...

ფეფელოს ყველაფერი უთხარი. კარგი ვახშამი ვაჭამეთ, და-
ვათრეთ, ვემასლაათეთ, მაგრამ მაინც იმის ოინების არაფერი
გვითქვია, რომ პატაზრენიაში არ ჩავვეგდო.

მეორე დილითაც კარგი ზაკუსკა მივართვით. სადილათ ცივათ
მონარშული დედალი, არტალა და მწვადები.

ჭკუაში დაუჯდა. აღარ ჩქარობს. ისადილა და წამოწვა.

ვხედავ, საქმე დამში მოდის. ქალაღს ვწერ და მივიღებარ
ისპალკომში. სეკრეტარი მეზნება თუ რა გინდაო?

—თავმჯდომარე უნდა ვნახო მეთქი.

—შალიკოს არა სკალიან, სთქვი რა გინდაო?

—მეთქი ლიჩნათ უნდა ვნახო. ძალიან სურვიოზნი საქმე მაქვს.

—სავესჩანიაზე და დაუცადეო.

ავეყუდე კედელს ტერტერას ყავარჯენივით დ ვიცდი. ჰამ
პრეცედატელის ნახვა მიხდა, ჰამ მეზინიან სულიკო არ ადგეს და
არსად წვიდეს—უცადე და უკანვე წავეღ.

ვაჰ, სახლში მივსულვარ, მაგრამ რას ვხედავ?

ეს სულიკო წამოწოლიოა ტახტზე, ფეფელოა გვერდით ოის
და ტკბილათ ჰოპოობენ. რო შაველ, ცოტა რასტერიიტი ქნეს
მაგრამ ფეფელოა ჩუმათ მეზნება:

—საქოჯან, რათ მოსულხარ?—წადი რალა გააკეთე საქმეო.

—დედაკაცო, წადი რომელია? მე წავიდე, და შენ მაგას ტახ-
ტზე ჩამოუჯდე, ეს როგორი საქმეა მეთქი?

გაჯავრდა:

—შენ სულ მაგისთანა რეინოსტობა იკოდი, იმიტომ უზივარ,
რომ ვართობ, არ წავიდესო. წადი ჩქარა ისპალკომში და უთხარი
თუ გიპოვნიო.

—წაეღ, მაგრამ, ფინთი რამე არ გააკეთო, თორემ ხო იცი
ზოპოები თუ აუშვი, თელეთიც ვეღარ გიშვილის მეთქი.

ფეფელომ უსპაკიტი მიყო და წაიღო. წავეღ, მაგრამ პრეცი-
დატელი იქ აღარ დამხვდა. მეზნებიან წნორში წავიდა და ზეაღ
მოდიო. გაბრუნდი. კაი ზაკუსკეული ვიყიდე. ჰამაც ტკბილეული,
ნუყლი, ფსტა, აღჯანაბადი და რამეები. იმ ღმესაც კარგი ღროება

გავატარებინეთ. მეორე დღესაც, მესმეს—და პაპუზ მთელი კვირა
გავიდა. ვალში ჩავარდი რალა, იმისათვის დიდი რასხოდები ვქენი-
—ბოლოს, როგორც იყო ვნახე ისპალკომი და მთელი საქმე აუბ-
სინ. სიხარულისგნით გულს სიონის ზარივით დაგა-ღუვი, გააქვს,
უცდი ჰაა, საცაა მეტყვის—მაღაღეც საქოჯან, დიდი საქმე გავიგე-
ფებია, მათხოვე რა გინდაო.

მაგრამ იმან იცინის. შამხედამს და იცინის, ბოლოს აგარო-
ნათ მეზნება:

—შენ მახსარობის გუნებაზე თუ ხარ, ისპალკომში რა გინ-
დაო?

—მეთქი ტოესტ, როგორ თუ მახსარობისა?

—ეს რა არიო?

—ვიფიქრე, ალბად არა სჯერა, რომ სულიკო მართლა მი-
ზოვნია მეთქი.

— ჩემი სიყრის მზემ, მრთაღს გებნები, გამოგზანეე მილი-
კია, რომ თავის თვალთ ნახოს სახლში მიზის, მეთქი მთელი
კვირაა დოირნი ჩავაგდე, რომ არასად წასულიყო მეთქი.

იმან მაინც მეზნება:

— თუ ვათა ხარ, ჰეჭიმთან წდი, თუ ვინმემ გაგპრიყვა,
ჩვენ ნუ გვაჯდენ, შენთვის არა გვცალიანო,— რის სულიკო, რა
სულიკო?

— მეთქი მახსარათ მაკეთებ? მაშ რა არის რომ მღერიან: „სადა
ხარ ჩემო სულიკო?“ ვიპოვე რალა.


არაო. სალაზრანდართ სხვა ადგილი მონახეო. კარებზე მიჩ-
გენა და თანაც სეკრეტარს ვივარი უთხრა: ამისთანა ყყეჩებს
რას მიგზავნიო?

სახლში წელი ძლივს მივიტანე, მაგრამ იქ უარესი ამბავი
დამხვდა: ვხედავ ეს ჩემგნით ნაპოვნი რაზბონიკი და ფეფელო
დიდ რამანიჩესკი ალერსში არიან.—ხან ერთი ჰკოცნის—ხან მეორე
ემშიში გავხდი. ენა ჩამივარდა. ჯივარი დამეწო რალა. მაშ
რა მომივიღოდა, როცა იქაც ვავბითურდი და აქაც ბრიბბრო გავხ-
დი?

დედაკაცო, ეგ რა არი მეთქი?

ფეფელო ურცხვათ მეზნება:

—ღმერთმა არ იცის შენი თავი, ვერა ხედამო?—შენ თითონ
სახლში მამიყვანი. მართო დამტოვე, საბლაზნიტში თითონ ჩამაგ-



— გამიშვიო! ქუფთასავით უნდა აგვე პო!...

ღე და ეხლა მეკითხებიო?— ამას იქით აქ ფეხი აღარ შემოსდგაო.
სულიკოსთვის უკე მიმიცია პირობა და შენ რაზვოდს გაძღეფო-
ის იყო, უნდა გაიჯვარდნილიყავ, მაგრამ ერთიც ვნახოთ ის
ბემურაზი სულიკო ხანჯალს იღებს—

—გამიშვიოთ ქუფთასავით უნდა აგვეპოვო.

ეს რო თქო, შოშისგან მოვიკუნტე, მაგრამ მაინც ვიყოჩა-
ღე რალა, ისე გავაქუნდი, რომ უკან აღარ მიმიხედნიია...

ეხლა ხომ გესმის ჩემი გულის დარდები ფარსადანჯან, იცი
რას გებნები? მილიციაში მაინც წამიყვანე. დამეხმრე, რომ ის
ბემურაზი სულიკო მანაზორან, თორემ ლივროვს ვიშოვნი და
შაიძლება ამ სიბერეში კაცის სისხლი დავღვარო.—გინდ დაიჯერე.
გინდა ნუ.



სასწაული

ნიანგის ქრონიკა

ტფილისში. საბინაო ამხანაგობის სახლის ჩვეულებრივ ოთახში, ერთი ჩვეულებრივი დედაბერი ცხოვრობდა. სახელად ტასო ერქვა, გვარი არც ისე სახარბიელო ჰქონდა: მუდამყრელიძე იყო. მოხუცს სიკვდილამდე ერთანახევარი პარასკევიღა ჰქონდა დარჩენილი. მის ქონებას კედლის საათი, დანჯღრეული მაგიდა, ასეთივე ტახტი და მურაბის თასი შეადგენდა. ეს მსხვილმანი, წვრილმან ქონებაში მხოლოდ ორი ტაბურეტი, ერთი ბურნუთის კოლოფი და სამი მათლაფა იყო ღირსშესანიშნავი. თავს წინდების ქსოვით ირჩინდა.

მოხუცს პარტიის ცემით ეპყრობოდნენ მეზობლები. განსაკუთრებით კი საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარეს უყვარდა ტასო მუდამყრელიძე: მიზეზიც ჰქონდა სიყვარულისა: მოხუც პარასკევიანხევარს როგორმე გააჭარბებდა ოთახი მზად იყო.

ტასო გუდამყრელიძე წელიწად ნახევარს შოონდა პარასკევიანხევარის გატარებას. კინაღამ შესჯავრდა საბ. ამხ-ბის თავმჯდომარეს. მაგრამ ყველაფერს ხომ დასასრული აქვს: ერთ დღეს ყველა კოოპერატივები შემოიპირა დედაბერმა, მარლი ვერ იშოვნა, სახლში დაბრუნდა, გაბრაზებულმა გულიანად დაამთქნარა და თქვენი ჭირი წაიღო.

„ჯავრისაგან“ კინალამ გადაიარა თავმჯდომარე ვიდრე გრდაცვალებულს ნახავდა და მწარედ „აქვითინდებოდა“, მეზობლებს უკვე მოესწრო უპატრონო ქონების განაწილება: ერთს საათი წაეღო, დანარჩენებს სხვა ნივთები გაენაწილებინათ: იმიზეზებდნენ—ამდენი და ამდენი „ემართათ“. მეგობრებსაც მოესწრო, ბურნუთის კოლოფი ჩაეჯიბნა და ამბობდა: „ჩემი ხუთი მანეთი ჰქონდა, პაპიროსი მიეყიდე ნისიათ“.

შეუწუნა თავმჯდომარე, მაგრამ რატოს იზამდა მეზობლებს ჩამოუტარა. ფული სთხოვა: „სუყვილამ ცოტა ცოტა გამოვიღოთ და დაეშარხოთა“. უარი უთხრეს: „ცოცხალიც ჩინი სარჩენი იყო, ძლივს მოვიშორეთ თავიდან და ისევ ჩვენ მოგვიყვანეთ?“ უფრო გაწბილდა თავმჯდომარე, მეზობელს მიუვარდა, გარდაცვალებულის დახვდრეული რახტი და მაგიდა წაართვა და დურგალს ერთი სადა ყუთის გაკეთება შეუტკვეთა სახელდახელოთ.

არც დამარხვაში მოეხმარენ თავმჯდომარეს, უფრო გამწარდა კაცი. დაფიქრდა: „როგორ მოვიშორო თავიდანო, რომ ძვირი არ დამიჯდესო“. მოიფიქრა და ცხედარი ყუთით რკინისგზის სადგურისაკენ გაუყენა სოფელში გაგზავნის მიზნით.

სოფელში, სადაც ტასო მუდამყრელიძეს მძისწულის ნაცოლარი და სხვა უფრო შორეული ნათესაები ყავდა, დიპიშა გააგზავნა თავმჯდომარემ. სოფ. „ვა-ში“ შეატყობინა: „ტასო მუდამყრელიძეს ცხედარს გიგზავნითო“. „ამანათი“ რკინისგზას ჩააბარა. გზავნილის ქვითარი კონკრეტში ჩასდო და უკან გააყოლა დედაშას.

ამბავი მეორე

საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარის ოთახი სტუმრებით აივსო „ამანათის“ მოშორებას მეორე დღესვე. „დიდის სიყვარულით“ კითხულობდნენ თავმჯდომარეს: აქამდე ორი მამიდა და ერთიც დეიდა ეგულებოდა ტფილისში, ახლა კი იმდენი „ნათესავები“ აღმოაჩინდა რომ ამ მოთხრობის პოინარის გა-მოშვები ბულალტერიც ვერ დათვლიდა. მო-

ქოგვა კალენდარი

ტფილისი. სახლემწიფო გამოცემლობამ გადასწყვიტა დაუგვიანებლად გამოსცეს 1937 წლის 1 იანვრისათვის 1936 წლის კედლის კალენდარი.

„დიდი თვატრი“

ორჯონიკიძე. (ხარაგაული) მთავრდება უზარმაზარი თვატრის შენობა, რომელიც დაიტევს ორნახევრ მაყურებელს.

მეზიდობიანი ღვა

მურჯაანი. მთელმა დღემ ისე გაიარა, რომ დამც. კოლ. წევრი სევ. ხარაიძე არსად დამთვრალა, არავინ გაულახავს და თავის მამაპაპურ ბებუთით არავის დამუქრებია.

ლიოდნენ გამოემცხატებოდნენ, ხელის ჩამორთმევით კითხულობდნენ, თავმჯდომარესთან დამეზობლების სურვილს გამოსთქვამდნენ და უარის მიღებისთანავე ისევ უკან ბრუნდებოდნენ.

მრავალმა „ნათესავმა“ და ნაცნობმა ინახულა თავმჯდომარე. ოთახსა სთხოვდნენ ყველანი ცივი უარით გაისტუმრა, მაგრამ „გასტეხა მაგარი ქვა ტყვიის რბილმა გრდემლმა“ და ტასოსეული ოთახი დიდი თანამდებობის კაცმა ჩაიგდო ხელში. უარი ვეღარ უთხრა საბ. ამხ. გამგემ დაწესებულების უფროსს, სადაც თვითონ მსახურობდა. სამალარიჩო ქეიფი გაიმართა. მუდამყრელიძის „შესანდობარი“ გადახუბეს და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ამბავი მესამე

დებეშამ ჩვეულებრივად იმეზავრა და სოფ. „ვას“ მაგივრად სოფელ „მა“-ში მივიდა გუდამყრალიძების ოჯახში: „ვასო გუდამყრალიძის ცხედარს გიგზავნითო“, იტყობინებოდნენ. ერთი წივილი-კვილი შექმნეს სამუშაოდ წასულ კაცის მახლობელმა. დაიწყო თმის წეწვა და უბედურება. სადგურის მიაშორეს, კუბო არსად აღმოჩნდა. დასხდნენ და ტირილი დაიწყეს. რამდენიმე დღეს მოუწევდათ ცდა და ტირილი, რომ ერთ „უბრალო“ შემთხვევას არ შეეშალნა ხელი: სადგურის მომუშავე მტკვრთავებს ერთერთ ყუთისათვის გვერდი გამოეტეხნათ: იქნებ შიგ საჩვენო რაიმე იყოსო და ხელების ფათურით ყუთში ცხედარის აღმოჩენიათ. დაუძახეს მომლოდინე ჭირისუფლებს შეატყობინეს აღმოჩენილ „საუნჯას“ შესახებ, მაგრამ გახსნის უფლება კი არ მისცეს: „ქვითარი წარმოადგინეთ და ისე წაიღეთ, ძვირფასია, დაზღვეული არისო“. ხეწნით, რომ ველარაყურს გახდნენ, იერიში მიიტანეს ჭირისუფლებმა: ყუთს თავი აამტვრიეს და რა ნახეს! ყუთში ვიღაც ბერი ქალი იდო ორად მოკეცილი, სწორედ ამ დროს სოფლიდან ბაგშვი მოვარდა დადილი-დაქან... დაიძახა: „ვასო ძია მოვ-და, სახლში არის. ნუღარ სტირიხართო“. მომტკვლებმა დედაბ-

ს. რუშოთი. (ჩხარის რაიონი) დღეს, 15 აპრილს ადგილობრივი სკოლის დირექტორი ალიქ. ზარნაძე და მასწავლებელი ვალ. იმნაძე სკოლაში და პოლიტმეცადინეობაზე ფხიზლეები გამოცხადდნენ. ეს სასწაულებრივი ამბავი სასწრაფოთ გადაეცა რადიოთი, ჩხარის რაიონს, განთლების ინსპექციას და მთელ კულტურულ კაცობრიობას.

ახალი ხიდეგი

ტფილისი. ტფილისის საბჭოს კეთილმოწყობის განყოფილება თანახმად მუშათა წინა დიებებისა, აპირობს მდინარე მტკვარზე ბორნის ადგილას და ფოსტის შენობის გასწვრივ საცალფეხო ხიდების აგებას.

ამ დადგენილებების მიღებას და განხორციელებას მოკლე ხანში მოესწრებიან ჩვენი მკითხველების შვილები და შვილიშვილები.

რის ცხედარი დასტრავეს და გახარებულები სახლისაკენ გაემუხრნენ...

ამბავი მეოთხე

საწყალო ტასო მუდამყრელიძის ცხედარი ყუთიანად ერთ კვირას ეგდო სადგურში. რკინისგზელები სდარაჯობდნენ: „ძვირფასია, დაზღვეულია“. მაგრამ გზავნილის ქვითარი არავინ მოიტანა და ვის ვაატანდნენ? მოსწყინდა მოკუზოლო დედაბერს ამდენხანს ყუთში წოლა. — „ჯანდაბას თუ მარლი ვერ ვიმოგენე!.. მამაჩემიც მარლიმა არდაახრჩოვო“. — სიტყვა, ერთი დამთქნარა და ზეზე წამოდგა. ნახევრად მოქოვილი წინდა აიღო ხელში, წინდისჩხირები გაუყარა, ქსოვა დაიწყო და ისევ ტფილისისაკენ გამოეშურა. გაიღო საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარის ოთახის კარი და ათი დღის წინათ სალათას ძილით „გარდა-...-ბული“ ტასო მუდამყრელიძე შემოიიღა.

თავმჯდომარე სახტად დარჩა. უნდოდა დაეყვირა, მაგრამ როგორც იყო. შეიკავა თავი. მცირე პაუზას შემდეგ წამოიღულულა:

„— ომერთო, რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი!“

მაგრამ მოხუცს გული არც კი აჩილებია, თითქო არც გაუგია რაც მოხდა. ქანდაკებისამებრ გაშეშებულმა, თვალეზამქრალმა მხოლოდ იკითხა:

— თქვენ ხომ კარგად ხართ შვილო?

თავმჯდომარე კიდევ გაშტერებით უყურებდა დედაბერს. „მერე ნელა ზურგზე დაუცუტუნა ხელი და დასძინა:

— ჯერ ისევ კლდესებრ მაგარია. ყვილას გაგვისტუმრებს საიქიოს, ვაი არა აქვს ჩემს თავს! ნახავთ, თუ არა.!

დედაბერი წამოდგა და გარეთ გაეშურა. თავმჯდომარე და მისი კოლი ერთმანეთის პირისპირ დარჩნენ. ქმარი საგარძელზე დაეშვა, საფეთქელთან ცივი ოფლი დაასხა და ძლივს ამოიღულულა:

— ახლა ჩემს უფროსს რაღა უნდა ვუთხ-

გ. ივანიშვილი.

მანაილა-ბული დონ-ქანი

ამს. ს. თ-ია წავიკითხე ფელეტონი ჟურნალ „ნიანგში“ თქვენი „ნეკროლოგი“ სერგო დაშთიანის შესახებ. ვანა შეიძლება ადამიანის ასე დაქრება და რაღაც ორჯერ მოტყუილებსათვის და ისიც ცოცხლად დასამარება?

სტანისკის გვარს ატარებდა. შემდეგ პონ-ლოვის გვარი მოსწონებოდა (ალბათ ამ გვარის კეთილშობიანებისათვის). შემდეგ კიდევ თავისი ერთი ცოლის (მხოლოდ ძნელი იყო) გვარით დადიოდა ამ ჩვენი მშვენიერი ქვეყნის მიწა-წყალზე. ამ გვარს არ ვამუდავებთ სწავლასხვა მოსაზრებით — ხოლო დაბოლოს კი ამს. ს. თ-ისთან შაშვიანის გვარით გაუსაღებია თავი) თუ-ქვა ამ გვარს ისედაც ხშირად ატარებდა დროგამომდებელი).



ფაშისმი (ომის ქალ-ღმერთს):— მთელ ჩემს სიცოცხლეს შენ შემოგწირავ... —ვის ატყუებ, ბებრუხანავ, მთელ სიცოცხლეს რით შემომწირავ, როცა სამი მყოფი ხელი უკვე გავლილი გაქვს.

ბას და ათსგვარ წულგნობას, გაი-ძვერობას და აფერისტობას... მას უგონებენ თითქოს, 1928 წელს მან-ე. ი. სელრაქმა სტანკა-მანდოცვა და-შთაიანმა ერთი საწყალი ქალის ბინას შეავლო თავილი, ბინის დასაკუთრების მიზნით ჩაერიო ქალს.

1931 წელს სერგო სავასტროლოდ ბან-მარის ეწვია თავისი რეპერტუარით (ყალ-ბი პარტიულობა, ყალბი პარტიზანობა გაუ-ს ყალბი თანამშრომლობა). აქ მან პირველ რიგში კოლმეურნე მეჯღაგებზე ამოიღო მიზანში და განუცხადა: „პარტი-ული და ვაჟ-ს თანამშრომელი ვარ, ბინმა როზე საგანგებო დავალებით ვარ გამო-გზავნილი. სხვათაშორის დავალებული მაქვს. შეთვალსურებო გაუწიო თქვენს მუშაობას. ამ განცხადების შემდეგ სერგო-ს რძის ყოველგვარი პროდუქტები თავზე საყრელად ქონდაო.

მას უგონებენ თითქოს სერგო როგორც პოლიტსამართველოს თანამშრომელი რა-გის გარეშე იღებდა კოპსავკროდან პურს, შაქარს, ხორცს და სხვა სანოვანებს; ის თითქოს ნაცნობ-მეგობრებსაც ისაღ-ლიერებდა და მათაც ამარაგებდა სხვადა-სხვა სურსათით. „საწყალ სერგოს“ არ აკმარეს ცილისწამება და მოქალაქე და-ვით ლაჩხავამ (კოლმეურთვის გამგეობაში იყო) მოსთხოვა დაშთიანს საბუთები, მოქ. კანდელაკმა (ბაჰომიდან იყო) კიდევ მიბეგვა საწყალი სერგო ავარაკ ბანმარო-ზე აფერისტობისა და ყოყობისათვის... ამბობენ, რომ ამის შემდეგ სერგომ იყნო-სა რომ ცუდათ იყო საქე და ბანმარო-დან მოკურცხლო. საწყალ სერგოს უგო-ნებენ „თითქოს“ მან ქობულეთში ექიმ-მა, რატოიანის შარვალი და ზეურები „ბაბა-იმასქა“.

მასაც კი უგონებენ, რომ იგი ერთ მოხუც მანდილოსანს (თვითონ მინდებდა ვის) ჯერ ფიზიკურ შეურაცყოფას აყენებდა და შემდეგ ეუბნებდა:

— „დღეიდან, როგორ ხარო.“ თქვენი „ნეკროლოგი“ ამს. ს. თ-ის მთელმა მიღებმა წავიკითხა. ის წავიკითხეს სერგოს ნაცნობებმა და მეგობრებმა. სა-ინტერესო იყო ამ ხალხის შეხვედრის სერგოსთან

— „ა, სერგო, ეგ როგორ მოგსკლიო, რომ „ნიანგში“ ჩავრდინილხარ?— ეუბნებდა მას ერთი ნაცნობი.

— რა! განა წავიკითხეთ და ჩემზე იფუ-ლისხმეთ? მეც, ასე ვფიქრობდი, რომ თქვენ ჩემზე იფიქრებდით. ის მე არ ვარ ის სხვა სერგო დაშთიანია... მე ვიცნობ მას, იგი თაღლითი ვინმეა.

სერგოს ნაცნობს მიშა აბულაძეს არ სჯერა სედრაქას ასეთი თავის მართლებად და უსამართლოდ „დაჩაგრულს“ სერგოს დაცინვით ეუბნება:

— მამამალი ვიყო ერთი მაყარიჩი არ ვიყო. კიდევ ერთი ასეთი კობტა ტყუი-ლისათვისო.


საწყალ სერგოს რამდენ ცილს „სწამე-ბენ“, რამდენ თაღლითობას და გაიძვერო-ბას „აბრალებენ“, მაგრამ დამარხვას მა-ინც არ უპირებენ და თქვენ კი მარტო-ორი ტყუილისათვის ცოცხლად ასამარებთ არ გეთანხმებით ამს. ს. თ-ია: არ შეიძ-ლება ასე უამრავი „საგმირო“ საქმის ჩამ-დენი სედრაქი მარტო ორი „უწუკივლო“ ტყუილისათვის დაასამართო.

ჩაგა.

თავის ბაღის წინასწარმეტყველი

სადგ. რიონის უფროსი ცაგურია და დეს-პეტერი ჭანტურიშვილი დიდხანს აჩერებენ ქუთაისის მატარებელს ნიშანსვეტთან, რაც აღიზნებს მატარებლის წესიერ მოძრაობს.

ნახ. გ. თორნიანი



ეკიდებიან და ჰკეტუ ნიშანსვეტს ჩვენი გმირები (ჩვენ შორის რომ ვთქვათ სიმართლე) ხუთფუთიანი გირები. დვას ორთქლმავალი და ჰყვირის: —კმარა, მეყოფა ლოდინი, მგზავრებს არ წამოუღიათ აქ საცხოვრებლად ლოგინი.

ცრემლებით ვერაფერს გახდები. ვაქცატურად უნდა გადაიტანოთ ბედის მძიმე დარტყმები. ოღუა ვლადიმერის ასულმა რამდენჯერმე გადაიკითხა ეხლახან მიღებული წერილი, როგორ მოულოდნელად შემოიქრა მის ცხოვრებაში ეს უბედურება? როგორ მოიქცეს მთავარია არ დაეცეს სულით. მან უსათუოდ უნდა გამოიჩინოს ნებისყოფა და ხელში აიღოს თავისი თავი. მაინც ისეთი რა შეემთხვევა ვასია? ნუ თუ მის წარსულში იფარებოდა რაღაც შავი ლაქა? ნუ თუ ის უმაღლესად ამას ყველას და მასაც?

შეიძლება ისეთი რამე ჩაიდინა ამ ბოლო ხანებში? არა, დაუჯერებელია! ოღუას არ შეუძლია ეს დაიჯეროს. ვასია—კარგი კაცია, პატიოსანი, გულწრფელი. ეს უსათუოდ შეცდომაა, — ცილისწამებაა... ყველაფერი გამოირკვევა. ვასია უსათუოდ გამართლებას!

საწყალი ვასია!

ოღუა ვლადიმერის ასული აღელვებული დადის ოთახში და ფიქრობს შექმნილ მდგომარეობაზე.

საქმე იმაშია, რომ მისმა ქმარმა ვასილ ვასილისძე კალაშნიკოვმა, — ჩერნიანსკის რაიკომის მდივნის თანაშემწემ, დიდი ხნის შემდეგ მოწერა წერილი.

ეხლა მისთვის ყველაფერი გასაგებია. ეხლა მას ესმის თუ რატომ დაავიანა კალაშნიკოვმა წერილის მოწერა. მას კი ეგონა, რომ ის ისეთია, როგორც სხვები. ვაგზავნილქნა სხვა ქალაქში სამუშაოდ. ალბად შეუყვარდა ვიღაც. ოღუა და მისი პატარა გოგონა ლუსია დაივიწყა.

ვასიას კი უბედურება შემთხვევია. ოღუა ვლადიმერის ასულმა კიდევ ერთხელ აღელვებით გადაიკითხა წერილი.

სალამი ოღუა და ლიუსენკა! შენ ალბად ძლიერ გულმოსული იქნები ჩემზე. მერწმუნე, რომ ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ თავის სიკვდილი არაფრად მიმაჩნია. მე პარტიიდან გამომრიცხეს; ერთი თვე ციხეში

ვიჯექი. ალარ ვიცე რა უნდა ვქნა ერთი კაპეიკი არ მომეხვეჭება. პარტიაში აღდგენისათვის ვხლავრთობ, მაგრამ ვიცი არაფერი გამოვა. მინდა ხარკოვში წავიდე, იქ მე ამხანაგები მყავს ეგებ დამეხმარონ. მაშინ უსათუოდ შემოვიარ შენთან ბელგოროდში...

მაქვს წინადადება წავიდე შორეულ ჩრდილოეთში სამუშაოდ, როგორც კი მოვეწყობი უსათუოდ ფულს ვამოგზავნი. უსაზღვროდ ვწუხვარ, რომ ვერ გეხმარები ლიუსიას აღზრდაში. როცა ის გაიზრდება ხომ იტყვის, რომ მე შენ არ გეხმარებოდი ლიუსიას აღზრდაში და სხვ. ამიტომ ჩემო ლიუსია, როგორმე თვითონვე მოახერხე რაიმე და იცხოვრე, როგორც კი მოვეწყობი, უსათუოდ დაგეხმარები. ეხლა კი არა ფერი მაქვს. აბა, ოღუა შენ იცი... ალბად კალაშნიკოვს ცრემლები ახრჩობდა, როცა ამ სტრიქონებს სწერდა, მას ალბად მოაგონდა ოღუა და პატარა ლიუსია რომლებიც გაჭირვებაში იმყოფებიან.

საწყალი ვასია! ნუ თუ ასეთი კაცი შეიძლება რამეში იყოს დამნაშავე? უსათუოდ შეცდომაა, ცილისწამებაა. მას შეუძლია ეს დაამტკიცოს.

ოღუა აგზავნის წერილს კურსკში, საოლქო კომიტეტში. ის ითხოვს ხელმოწერად განიხილონ ვასილი კალაშნიკოვის საქმი. ის ხომ პატიოსანი კაცია! ოღუა ვასილის ასული დიდხანს მოელოდა წერილს... პასუხს. ბოლოს ასეთი პასუხი მიიღო: ვასილი ვასილისძე კალაშნიკოვი პარტიიდან არ ყოფილა გამორიცხული, ის განაგრძობს მუშაობას, სადაც მუშაობდა. ცხოვრობს კარგად. ალბად მკითხველი უკვე მიხვდა თუ რატომ დასწამა ჩვენმა გმირმა ვასილ ვასილისძემ თავის თავს ცილი... შეიძლება ისიც, რომ მას არც კი უნდოდა თავის თავზე ცილისწამება, მაგრამ, შესაძლებელია, როცა ის წერილს სწერდა თავის ცოლს და ქალიშვილს, ეს მოხდა ისეთ წუთებში, როცა ადამიანი ხდება თავის ბედის წინასწარმეტყველი.

მ.

ნასწავლი მოღაყბე

დიდი ნასწავლი შვილი ესტუმრა თავის მეგობრით სოფელში მამას. თუ კი მზად არის საქმელ-სასმელი, წინ რალა უდვას სადილის ჭამას? და ერთერთ დედულს გადაუწყვიტეს, ფერად შავსა და სიმსუქნით აქტივს, ფიცხლავ სუფრაზე გამოცხადება. (არგვალად მოხარულს სცემენ ზახ პარტის).

— სწორედ კი დროს ჩამოდი, შვილო, შეველა სჭირია ბრიგადირ საეღეს, მთელი დუნია შემოვივლია, რაცეპტის წერა ალბათ ისწავლე?

— მაგას სჭირდება ექიმი, მამა,

— მაშ ვერ უშველი გამოდის ასე სოფელს კი მაინც გამოადგები, ნასწავლი მყავხარ, შვილო, მინასე, წყარო გვეჭირდება. მიზომ-მოზომე გეგმა მოგვეცი და შეაფასე.

— მაგას მოუვლის ერთი ტექნიკი, ინჟენერი კი უფრო კარგია,

— ყველას მოუვლის ვიღაც ან რალაც, შენი ცოდნა კი რაში გვარგია?

— კაცის მორჩენა, წყაროს გაყვანა. სახლის შენება, თუ გინდა ფაცხოს, ეს ყველაფერი პროზაა, მამა, და ბევრი ფიქრი მაგაზე არც ღირს. თქვენ წერილმანებში ამოვლით სული, მე მასულდგმულებს იტყვიან რაში თუ გსურს სცხოვრობდე, უნდა გაიცნო სიტყვის ცეკვა და სიტყვის თამაში.

აი ხომ ხედავ, აქ ამ ერთ დღელას? ვილაპარაკებ და ვაქცევ ორად, ვისაც არ ესმის ვეჭილის ძალა, მოეჩვენება ყველა ეს ქორად.

— შენ გენაცვალე ენის კლიტეში, კაცი ყოფილხარ ერთობ ძვირფასი,

მოვხუციდი, ბიჭო, თუ გაწყვინე, მობოდიშება ათიათასი. რომ არ ფასობდა, მაშინ ესწავლობდი.

ახლა კი შრომას რას გავეჭვევი, შენ მოუღბინე მეორე დედულს, ამ ერთს კი, შვილო, მე შევიჭვევი.

— არა, ბატონო, რას ამბობთ აბა! — ჰო თუ არა და, აქთ მობოძანდი! — ღიმილით ამბობს მოხუცი საბა. შვილმა კი იცის, რომ მამა მისი მოკეთე არის და არა მტერი. ესეც ფაქტია, რომ იმ ქათმიდან არ შეხვედრია ერთი ნაჭერი.

უფრო სირცხვილით ვიდრე შიმშილით ნასწავლ ვაჟს ჩერწყვი პირზე ადგება.

— ეს მაგალითი, — ფიქრობს მოხუცი, — ბევრ ასეთ ნასწავლს გამოადგება!

სიმონა—ალა.

ლონდონის იდილია




ადენი: — ქოცი! ქოცი! ძია ანატონს ფეხი ვაუშვია.
ფლანდენი: — ფრთხილად, იკბინება!



იპონია: — ძალას არც კი ვატან ხომ ხედავ როგორ ხალონან ნად მომყვება.

კრიზისის მოლოდინში

იარაღის რამაგზადებელი



— როგორ შეიძლება უარი ვუთხრათ სამოცდახუთ მილიონ მოსახლეობის მქონე ქვეყანას პირველი მოთხოვნების საქონლის მიწოდებაზე. რომელსაც ჩვენ ვამზადებთ?



— თუ ახე გავრძელდა პირდაპირ სამათხოვროდ უნდა წაიღოთ
— ვისთან მეგობარო, ვისთან!


რევიზორი ხშირია უღარღელად ხროტინებდა...

რევიზორი ქვითია, რომელიც 6 აპრილს მატარებელ №-51 მიაცილებდა, საუცხოვო გონებაზე იყო.
 მიჯდომოდა ღვინით სავსე ბოთლებით მთარაულ მაგიდას ვაგონ რუსტორაში და გაიძახოდა:
 — ბრუკიანების სადღენგრძელოა! უნდა დაიცალოს!
 — გინ არიან ბრუკიანები?
 — უბილეთო მგზავრები. ნუ თუ არ იცი! მათით ვითქვამთ სულს რევიზორები.
 — მე მათ „კურდღლებს“ ვეძახდი... გაუ- მარჯოს ბრუკიანებს.

— ბოლომდე უნდა დაიცალოს ბევ კაპ- ლი!
 — პატარა ღვინის ჭიქები რა ბედენაა! ჩიის ჭიქები მომიტანეთ! — გაიცა ქვითიას განკარგულება.
 გაჩნდნ ჩაის ჭიქები.
 — ეს ღმერთმა გაუმარჯოს... და ჭიქა ჭიქაზე იცლებოდა.
 შემდეგ „იერიში“ პირობაპირ ბოთლებზე მიიტანეს „ინსტანციების“ შესამოლობლად.
 ქვითია სკამზე თავს ველარ იმაგრებდა მაგიდაზე დაეშვა და ხვრინვა ამოუშვა.
 — არიქა! რევიზორის რევიზორი მოდის!

ასეთ მდგომარეობაში როგორ გაჩვენებთ! დაგმალეთ. — გაისმა კონსტიტუციის ხმა.
 (ოცა ხნის შემდეგ ვაგონში სპირიტუალურ შოს კარებთან მგზავრების რიგი იყო გამაო თული.
 — არ შეიქცება!.. რევიზია ჩაიგლის და შემდეგ... აფრთხილებდნ რიგში მდგომთ კონსტიტორები.
 საპირფარეოში დამალული ქვითია კი საპირფარეოს პირსაბანს მიყრდნობოდა და ჩაძინებული უღარღელად ხროტინებდა.
 სამი!

იხალისა და აპისინია



ერთი „გუხი“ გვყავს ალია, საქმისათვის არა სცალია.

(ქ. ჯუღელი.)

„სამტრესტის“ მთავარ ზუხბალტრად მუშაობს „ბუჭი“ თოდრია, შორს სხვა „ბუხები“ მისაგან, ზუმრობა ვინმე როდია.
 მის კაბინეტში გაისმის აყალ-მაყალი, ხმაური, უყვარს ჩხუბი და ყვირილი, მუშტები, აურ-ზაური.
 წყრება, ცეცხლს აფრქვევს თვალთაგან „სამტრესტის“ „ბუხი“ ალია, მუდამ პაპიროზს აბოლებს, საქმისთვის არა სცალია.

ამას არვის არ დაუთმობ, მიღირს ფული მისი წონა.

ქვაც იხალის თავში მან, ვის ჩემი არა მოეწონა.

კირკიტა

გამომგონებელი

ჟურ. „ნიანგის“ მე-ნ ნომ. რში მოთაქსე- ზულია ისელის წერილი „რომელი საათია“, სადაც ავტორი მოგვითხრობს ზოგიერთი საათის წარმოშობის ისტორიას, ჩვენ გვინდა დაგომტათ კიდევ ერთი საათი. ე. წ. „მზის საათი“. რომელიც გამოგონებულია ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ (1936 წელს) ველის-ციხის—ალაზნის მელო- ნეობის ტექნიკოსი ნიკო ყავლიაშვილის მი- ერ.

ეს ვიებატონი მუშებს ამოუშავებს დღეში 10-12 საათს. როცა ამის გამო პროტესტს აცხადებენ მუშები და მიუთითებენ კანონზე, იგი შემოუტრევს

— რისი რვა საათი! კანონი-ზანონი მე არ ვიცი. მე ვარ კანონიცი და კონსტიტუციაცი. ჩემი საათი არის მზე! — და უჩვენებს მზეზე

— მზე ამოდის! აზა შეუდექით მუშაობას!
 — ჰყვიროს იგი მზის ამოსვლისთანავე ხო- ლო საღამოს, როცა მზე ჩადის, მამინ გამო- ცხადებს:

— მზე ჩადის!... შაბაუ! სთავდა სამუშაო დღი!

ასეთ გამოგონებისათვის ღირსეულად და შეს: ისაუდ უნდა. იქნეს დაჯილდოვებუ- ლი ჩვენი ტექნიკოსი ნიკო ყავლიაშვილი.

ამს. ნიანგო!

ვინაიდან ზოგიერთი მუშათა სასაძილოები არ არის მომარაგებული ჩაის კოვზების საკ- მათ რაოდენობით, გვგზავნით ახალი კოვზის მოდელს, რომლის გამოყენების დროს შესაძ- ლად



ლებილია ერთი კოვზით რამდენიმე მუშამ ისარგებლოს. ამ ნეობით სარგებლობენ სხვა- თა შორის ვაკის (ტფილისი) ავტორის ქარხნის დახურულ სასაძილოს მომარაგებლები.


ჩახტანგაძე

გამომგონებელი

ჩახტანგაძის ცნობა, თითქოს ვაკის ავტორის ქარხნის მუშ. სასაძილოში რამ-ნიმე მუშა ერთი კოვზით სარგებლობდეს, სიმართლეს არ შეეფერება. რადგან ჩვენს სასაძილოს არც ერთი კოვზი არ მოეპოვება. ამიტომ გთხოვთ მოახდინოთ რეაბილიტაცია „უკანონოდ“ შე- ურაცხოვილ ვაკის ავტორის ქარხნის ადმინისტრაციის, რომელიც ენერგიულად მუ- შაობს“ მუშათა კულტურულ ყოფა-ცხოვრების კრონტზე.



ნახ. ხუციშვილის



მეჩიმი:— ჯანსაღად ხართ, მაგრამ თუ თავსარ გაუფრთხილდით ტვინის ანთება გაგიჩნდებათ!
სიმშლიანტი:— მით უკეთესი! ჩვენი დაწესებულების თანამშრომლები სულ მიმტკიცებენ:— უტვინო ხარო,— მაშინ მაინც დაიჯერებენ რომ ტვინი მქონია.

სტუდენტის წერილი დედას

დედაჩემო და წერილსა გწერ, ჩემო ტკბილო დედა! — ვიცო, ძლიერ შეგაწუხებს ჩემი ხვედრი, ბედი. ვამოკლებში ჩავიჭერი; დამიჯონდა გული. შეგვიჩერეს სტიბენდია, შემომაკლდა ფული. ხუთ საგანში ჩაჭრილი ვარ, დამეხმარე დედი. იჩინებ კიდევ მოვემზადო, შეგაბრუნო ბედი. თორემ ვიცი, სულ მომსწინა და წამოვალ სახლში — და სირცხვილით თავს, დედილო, ვერ გამოგყოფ კარში.
დედის პასუხი

შვილო მივიღე წერილი, ვადმომიტანა კოლაშა, გწუხვარ. რომ ასე გაწყინა შენ მაგ ქალაქის სკოლაშა. შვილო სადარდო რა არის? ან რას გაშინებს ღორები? კოლექტივისთვის ვიყიდეთ ჩვენ იორქშირის ღორები. თუ ვერ შესძელი სწავლა და გაგიწყრა „ჩემი გამწენი“, მაშინ ჩამოდი სოფლად და სამუშაო გვაქვს რამდენი, გინდა სათონში იარე, გინდა საბარში, — კარზედა, გინდა ცხვარს ვაჭყე მთაშია, ჯობი გაიდე მხარზედა! თუ გინდა ე მანდ ისწავლე, გინდა წამოდი სოფლად და შენი ღორები გიცდიან, რომ მიატოვე ობლადა.
კოლაშა

გ ო ღ ო რ ი

პეტრუშკას: (ქუთაისი) ახირებული კაცი ყოფილა თქვენი ლექსის გმირი საზვევების ინსტრუქტორი აბდალაძე, რომელიც სასადილოს და ბოთფრის გამგებთან თურმე მუქთაო და სისტემატურად ჩეიფობს შემდეგ ჭიჩაში არხეინად ლილინობს:

ვადიან და გამოდინან ქუჭოთობი ხეზედაო, ვარ საზვევების ინსტრუქტორი, დაშეკიდეთ ფეხზედაო. ბურმარლის მოყვარე ვარ, არ მავაია ფარჩეულა, ხამსახურში ვერ მომხსნიან, კრებაზე ვარ არჩეული. თავში მწყერი შემეიიდა, ოფოფობი, ოქში, ოქში, ბი... მი მოლონდა... ახირივარი შეიტანოს აფთიაკში.

აბდალაძე აფთიაკს ასე ხშირად ალბათ მიტომ ახსინებს, რომ მას მართლაც „მკურნალობა“ სჭირდება. რეცეპტის გამოწერა

ჯერ-ჯერობით „ქუთსაზვევებისათვის“ მიიგინდვია.
პერუს (აქვე) დავგვიანებულია.
გოდორი
სიმონ სიმონის ძეს (სოფ. კონდოლი თელავის რაიონი) წერა გეხერხებათ; მოგვაწოდეთ სხვა მასალები (ვალკე განმარტების თანდართვით. უკვე მოწოდებული მასლა გამოყენებული იქნება თელავის რაიონულ განვითარებისათვის.
თ. ნიანგელს (აქვე)—არ დაიბეჭდება, რადგან თქვენ ვინაობას და მისამართ არ იწერებთ.
ახუთელს. თქვენი ბრალდება იმის შესახებ, თითქოს ექიმი ჟვანია საავადმყოფოს არ ეკარება, დაუსაბუთებელია. არ დაიბეჭდება.
გუგუნიას (აქვე) თქვენ ლექსს „მისწრაფებას“, რომელშიაც სწერთ
ბავშვობიდანვე ნიანგო, ძმაო, მსურდა მქონოდა ერთი „სლუჩია“, რომ უენს გვერდებზე

როგორც პოეტი დავაბეჭდილიყავ მე—
გეგუჩია.
იპიონებთ ნატარას გისრულებთ.
ლევან შინინაძეს (ქ. ჯუღელი) ალბათ სიცხის ბრალია რომ ასეთ ლექსს გვიგზავნი.
შემიყვარდა ერთად, ლუწად ორი ქალი, ორი ქეთო, და არ ვიცი ჩემი გული
რომელ მათგანს შეუყვეთო!
თქვენი გოლის რა მოგახსენოთ და თქვენი თავი კი არაგის გამოადგება: მხატვ ყოფილა. სრადეთ აჯამუროს წყლის ან მდინარე ყვირილის გრილი აბაზანები.
პეტის (შორაპანი) გათაუგ ზავნით დანონსულეებისამებრ. რკინისგზის ადმინისტრაციას და ადგილკომის მიერ კანონის ბიუროკრატიულ—ფორმალურად გამოყენების შესახებ მოწოდებულ მასალებს, საჭირო შემთხვევაში, განმარტების მიღების შემდეგ გამოვაქვეყნებთ.


პ.მ. რედაქტორი ს. ეული.

ნოქსი

124
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნან. ვ. ბუხარევის

ერთა ლიგის სამკოს სხდომაზე, რომელზედაც ირჩეოდა იტალია-აბისინიის ომის საკითხზე, აარუფენ ისურვა დისკუსიის დაწყებასა სიტყვა მიეცა იტალიის წარმომადგენელს.



—ჯერ უხვისწავლოთ, ადგან ჩვენი ჩაბება... ეს სჯობს კომუნისტებს, დანაბა ომი.